ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1257100

ნომერი: AR1217630

თარიღი : 06.05.2014

გაცემის თარიღი : 07.05.2014

გაცნობის თარიღი : 15.05.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გმირთა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემურ ლორია პ/ნ 01015004874
- თბილისი კრწანისის ქ. N 16 კორ. 8 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში (47-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე

ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ 2014 წლის 6 აპრილს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში შემოვიდა თქვენი N AR1217630 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გმირთა მოედანი N1–ში „ცირკის“ კუთვნილ ტერიტორიაზე ბავშვთა გასართობი ზონის მოწყობის საკითხს.
საპროექტო ობიექტს "ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
აღნიშნულის გათვალისწინებით, თქვენი 2014 წლის 6 აპრილის N AR1217630 განცხადების განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება სცდება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილების საზღვრებს.
საკითხის განსახილველად უნდა მიმართოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მდებარე ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.